

1942

საქართველოს სსრ განათლების
სახალხო კომისიარიატის ბრძა-
ნებითა და განაკრულებათა


კრებული

№ 4	წელიწადი მთავარი	1942 წ.
-----	------------------	---------

შინაარსი

1. ბრძანება № 2073 (ა) პოლიტგანდაწესებულება-
თა მუშაობის გამოკვლევის შესახებ 2
2. ბრძანება № 2073 (ბ) წვევამდელთა და თადა-
რიგის მეთაურთა სკოლების მუშაობის შესახებ 7
3. ბრძანება № 872 — წვევამდელთა შორის წ/კ
შუკოდ. და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის შე-
სახებ 10
4. ცირკულარულად—1923, 24, 25 წლ. დაბადე-
ბულ წ/კ შუკოდ და მცირემცოდნე, მშობლიუ-
რი ენის მცოდნე, მაგრამ რუსული ენის არ-
მცოდნე წვევამდელთა სწავლების შესახებ 13
5. ცირკულარულად—პირველი მაისის დღესასწა-
ულის ჩატარების შესახებ 14
6. ცირკულარულად — სკოლიდან ჩამოშორებულ
მოსწავლეთა დაბრუნების შესახებ 17
7. სამხედრო შინაარსის მათემატიკური ამოცანები 20

განსახკომი
თბილისი — 1942



ბ რ ქ ა ნ ე ბ ა № 2073 (ა)

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წლის „3“ მარტი

გავეცანი რა წყალტუბოს, ლაგოდეხის, ყვარელის, ლანჩხუთის, დუშეთის, ახალქალაქის, წალკისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებათა და პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოკვლევის მასალებს, აგრეთვე მოვისმინე რა აღნიშნული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების გამგეთა და პოლიტგანმანათლებლო ფარცხანაყანევის, გვიშტიბის (წყალტუბოს რაიონი), ცოდნის (ლაგოდეხის რაიონი), სუფსის (ლანჩხუთის რაიონი) სასოფლო კლუბების, გვიმბალაურის (ლანჩხუთის რაიონი) ქოხ-სამკითხველოების და ახალქალაქის საქალაქო ბიბლიოთეკის გამგეთა მოხსენებები საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 17 იანვრის დადგენილების რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ, აღვნიშნავ, რომ რიგი რაიონების პოლიტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა შესძლეს თავიანთი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გარდაქმნა ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესაბამისად.

მაგალითად, სამამულო ომის ამოცანებთან შეფარდებით პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის გარდაქმნის ნიმუშს იძლევა ლანჩხუთის რაიონი. რაიონის მთელ რიგ პოლიტგანდაწესებულებებში კარგად არის დაყენებული პოლიტინფორმაცია, ყოველდღე სწარმოებს ჟურნალგაზეთების ხმამაღალი კითხვა და წაკითხულის გარშემო საუბარი, მოწყობილია ინფორმაციის დაფა, გაზეთები გამოკრულია ვიტრინებში. სისტემატურად ტარდება რადიოგადაცემათა კოლექტიური მოსმენა და ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსმენილის გარშემო. საკლებო დაწესებულებანი უზრუნველყოფილი არიან თვალსაჩინო აგიტაციისათვის საჭირო მასალებით (პლაკატები, ლოზუნგები, ფოტოსურათები, გეოგრაფიული რუკები და სხვ.), სისტემატურად გამოდის კედლისა და საველე გაზეთები, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ჩატარებული საგაზაფხულო სასო-

ფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომსახურებისა და წითელი არმიისათვის
საჩუქრების შეგროვების საქმეში. პოლიტგანდაწესებულებებში
ლებლივ მუშაობენ სამხედრო-თავდაცვითი წრეები, ამ წრეებისათვის
მოწყობილია ცალკე თანხები (ლესისა და სუფსის სას. კლუბები),
წრეები მომარაგებულია სასწავლო ხელსაწყოებით, მაკეტებით
და სხვა საჭირო მასალით. საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებუ-
ლებებში მოწყობილია სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურის გა-
მოფენა (სარაიონო ბიბლიოთეკა, სუფსის სასოფლო ბიბლიოთეკა,
შუხუთის ქობ-სამკითხველო და სხვ.). პოლიტგანდაწესებულებათა გარ-
შემო შემოკრებილია ფართო კულტაქტივი. განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას იპყრობს საკლუბო დაწესებულებებში დამყარებული წესრიგი და
სისუფთავე. ამ მხრივ აღსანიშნავია ლესისა და სუფსის სასოფლო კლუ-
ბები, შუხუთის ქობ-სამკითხველო, სარაიონო კულტურის სახლი, პო-
ლიტგანდაწესებულებებს სანიმუშოდ აქვთ დაყენებული ჩატარებული
მუშაობის ზუსტი აღრიცხვა. ამ მხრივ გამოირჩევიან ჩიბათისა და
სუფსის სას. კლუბები. განათლების განყოფილება ოპერატიულად
ხელმძღვანელობს და ეხმარება პოლიტგანდაწესებულებებს, სამა-
მულო ომის პერიოდში განათლების განყოფილებას ჩატარებული
აქვს პოლიტგანმუშავთა თათბირები და სემინარები პოლიტსაგანმა-
ნათლებლო მუშაობის საორგანიზაციო და მეთოდური ხასიათის სა-
კათხებზე. აღსანიშნავია ის დახმარება და ხელმძღვანელობა, რო-
მელსაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უწევენ პოლიტ-
განდაწესებულებებს მათს ყოველდღიურ მუშაობაში.

სამამულო ომთან დაკავშირებით მუშაობის გარდაქმნის კარგ
მაგალიტებს იძლევიან სხვა რაიონების რიგი პოლიტგანდაწესებუ-
ლებანი (მაგალიტად, ახალქალაქის კულტურის სახლი, ლაგოდე-
ხის რაიონის ს. ცოდნის, წყალტუბოს რაიონის ს. ფარცხანაყანევის,
წალკის რაიონის ს. ბემტაშენის სასოფლო კლუბები და სხვ.).

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რაიონის რიგ პოლიტსაგანმანა-
თლებლო დაწესებულებათა მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას სათანა-
დო სიმაღლეზე და არ უპასუხებს მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

მაგალიტად, კასპის რაიონის პოლიტგანდაწესებულებათა
უმრავლესობაში ძლიერ სუსტადაა დაყენებული მასობრივ-პოლიტი-
კური მუშაობა. ქვემო-გომის სასოფლო კლუბში მუშაობა ჩაშლილია.
წითელქალაქის სასოფლო კლუბში და ქვემო-ქალის ქობ-სამკითხვე-
ლოში არ მოიპოვება სამხედრო-თავდაცვითი ხასიათის ლიტერატუ-
რა, იშვიათად ეწყობა საუბრები, ლექციები და სხვა ღონისძიებანი.
სუსტად არის გამოყენებული კულტაქტივი, კასპის სარაიონო
კულტურის სახლის შენობა ჯერ კიდევ დაკავებულია ხორბლის

საწყობად. ასევე ხორბლის საწყობადაა გადაქცეული ლამის ყველა ქობ-სამკითხველო. განათლების განყოფილება საკმაოდ არ იბრძვის აღნიშნული შენობების განთავისუფლებისათვის, ან მათი მუშაობის სხვა ბინაში გადატანისათვის. ქვემო-გომისა და წითელქალაქის სასოფლო კლუბების და ქვემო-ქალის ქობ-სამკითხველოს გამგეებს მიუღებელი აქვთ 4—5 თვის ხელფასი. ასეთივე მდგომარეობაა აღაიანისა და კავთისხევის პოლიტგანდაწესებულებებში.

ლაგოდეხის რაიონის სოფ. ბუდიონოვკის ქობ-სამკითხველოს გამგე უგეგმოდ მუშაობს. ქობ-სამკითხველოსთან არაა ჩამოყალიბებული საბჭო. სავაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კულტურულ-მასობრივი მომსახურებისათვის არ არის დასახული ღონისძიებანი. მიუხედავად იმისა, რომ მცხოვრებთა მესამედზე მეტი რუსი მოსახლეობაა, ქობ-სამკითხველოს არ მოეპოვება არც ერთი გაზეთი ან ჟურნალი რუსულ ენაზე. ადგილობრივი ორგანიზაციები ქობ-სამკითხველოს არ ეხმარებიან, ხოლო სოფსაბჭოს 12 მარტამდე არ გაუცია პირველი კვარტალისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები.

ახალქალაქის რაიონის საკლუბო დაწესებულებანი არ არიან უზრუნველყოფილი განათებითა და გათბობით, ნავთისა და ლამპების უქონლობის გამო უმრავლესობა პოლიტგანდაწესებულებებისა საღამოობით არ მუშაობს. სოფლსაბჭოები დროულად არ აძლევენ სახსრებს პოლიტგანდაწესებულებებს. უსახსრობის გამო პოლიტგანდაწესებულებებმა ვერ გამოისყიდეს მათ მიერ გამოწერილი სამხედრო-თავდაცვითი ლიტერატურა, რომელიც ფოსტამ უკან დააბრუნა. გოგაშენის ქობ-სამკითხველოს, ჩამდურას, ხანდოს, ვაჩიანის სასოფლო კლუბების შენობები გამოყენებულია კოლმეურნეობათა საწყობებად. განათლების განყოფილება არ იჩენს მზრუნველობას პოლიტგანდაწესებულებათა კადრებით უზრუნველყოფაზე: არაგოვის სას. კლუბის გამგე კურხოლიანი—მცირემცოდნეა, ხოლო ოკამის ქობ-სამკითხველოს გამგედ მუშაობს მე-5 კლასის მოწაფე (13 წლის), საქალაქო ბიბლიოთეკაში ადგილი აქვს წაგნადი ფონდის განიავების ფაქტებს.

ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ წყალტუბოს რაიონის რიგი პოლიტგანდაწესებულებანი. წყალტუბოს სარაიონო კლუბში მასობრივ სააგიტაციო ღონისძიებები არ ტარდება, ჭარდა კინო-სეანსებისა, რომელიც თვეში 2—3-ჯერ ეწყობა. ცუდად მუშაობს წყალტუბოს სარაიონო ბიბლიოთეკა, რომელიც დროებით მოთავსებულია პარტკაბინეტის შენობაში. მასობრივ-სააგიტაციო მუშაობას ბიბლიოთეკა არ აწარმოებს. გვიშტიბის სასოფლო კლუბს არ მოეპოვება სამამულო ომისა და სამხედრო თავდაცვითი შინაარსის არც ერთი

წიგნი. კლუბში არ არის თანამედროვე ხასიათის ლოზუნგები. თქმის ჩაშლილია მალაკისა და წყალტუბოს სასოფლო კლუბების მუშაობა, წყალტუბოს სასოფლო კლუბის შენობაში მოთავსებულია ფინგანის მუშაკები. განათლების განყოფილება არ იხილავს და არ ამტკიცებს პოლიტგანდაწესებულებათა სამუშაო გეგმებს.

დუშეთის სარაიონო კლუბის სამუშაო გეგმაში არ არის გათვალისწინებული სამამულო ომის ამოცანების შესაბამისი ღონისძიებანი. გეგმა განხილული არაა არც საკლუბო საბჭოს, არც განათლების განყოფილების მიერ. 1942 წლის პირველი კვარტალის განმავლობაში კლუბის მიერ ჩატარებულია მხოლოდ ერთი ლექცია. სამამულო ომისადმი მიძღვნილი გამოფენა კლუბში მოწყობილი არაა. სამხედრო-თავდაცვითი და აგროზოოტექნიკის შემსწავლელი წრეები კლუბში არ არსებობენ, ხოლო თვითმომქმედი მხატვრული წრეები მხოლოდ ფორმალურად ითვლებიან. რაიონის საკლუბო დაწესებულებებს სარაიონო კლუბი არავითარ დახმარებას არ უწევს.

ასევე ცუდად მუშაობენ ყვარელისა და წალკის რაიონების ზოგიერთი პოლიტგანდაწესებულებანი.

აღნიშნული ნაკლოვანებები უმთავრესად იხსნება იმით, რომ განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ პოლიტგანდაწესებულებებს, არ იღებენ გადამჭრელ ზომებს მათი მუშაობის გარდაქმნისათვის სამამულო ომის ამოცანების შესაბამისად. აღნიშნულისა გამო ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წინადადება მიეცეს კასპის, წყალტუბოს, ყვარელის, წალკის, ახალქალაქისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს;

ა) ერთი თვის ვადაში გაანთავისუფლონ პოლიტგანდაწესებულებათა ბინები, რომლებიც დაკავებულია სხვა ორგანიზაციების მიერ, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ეს გამოწვეულია აუცილებელი საჭიროებით, პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობა გადაიტანონ სხვა ბინებში;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები პოლიტგანმუშაკთა ხელფასის დავალიანების უმოკლეს ვადაში ლიკვიდაციისათვის და მომავალში არ დაუშვან ასეთი შემთხვევები;

გ) დაუყოვნებლივ უზრუნველჰყონ საკლუბო და საბიბლიოთეკო დაწესებულებათა მიერ სამხედრო-თავდაცვითი, ანტიფაშისტური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის შეძენა;

დ) დასვან რაიონისაკომისიის წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ლიტერატურის შესაძენად და სხვა აუცილებელ საჭიროებისათვის პოლიტგანდაწესებულებებს დროულად და შეუფერხებლად ეძლეოდეს ბიუჯეტით განკუთვნილი სახსრები;

ე) განიხილონ და დაამტკიცონ რაიონის პოლიტგანდაწესებულებათა წლიური და კვარტალური მუშაო გეგმები და კონტრაქტული გაუწიონ ამ გეგმების შესრულებას.

2. წყალტუბოს სარაიონო ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ყანჩაველი განთავისუფლდეს თანამდებობიდან, როგორც სუსტი და ბიბლიოთეკისათვის შეუფერებელი მუშაკი.

კადრების სამმართველომ შეარჩიოს შესაფერისი კანდიდატი წყალტუბოს სარაიონო ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე დასანიშნავად.

3. წინადადება მიეცეს ახალქალაქის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს განთავისუფლოს არაგოვის სასოფლო კლუბის გამგე ამხ. კურდოლიანი და ოკამის ქობ-სამკითხველოს გამგე ამხ. კაზოევი, როგორც ამ თანამდებობისათვის შეუფერებელი მუშაკები, და ამ საკლებო დაწესებულებათა გამგეების თანამდებობა შეუთავსოს ადგილობრივ მოწინავე მასწავლებლებს.

დაევალოს მასვე უმოკლეს ვადაში გამოავლინოს დამნაშავენი საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განიავებაში და მისცეს ისინი პასუხის გებაში, ამასთან ერთად მიიღოს ზომები ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აღსადგენად.

4. დაევალოს კასპის განათლების განყოფილების გამგეს მონას ქვემო-გომის სას. კლუბის გამგე ამხ. ოთარაშვილი სრული უმოქმედობისა და კლუბის მუშაობის ჩაშლისათვის და შეარჩიოს ამ თანამდებობაზე დასანიშნავად შესაფერისი კანდიდატი.

5. წინადადება მიეცეს კასპის, წყალტუბოს, ყვარელის, წალკის, ახალქალაქის, ლაგოდეხისა და დუშეთის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა პოლიტგანდაწესებულებებზე, გააძლიერონ მათდამი კონკრეტული დახმარება და უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყონ პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობის გარდაქმნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ 17 იანვრის დადგენილების საფუძველზე, რისთვისაც იხელმძღვანელონ ჩემი ბრძანებით № 334 ა/წ 23 იანვრის თარ. და განსახკომის ინსტრუქციით საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კულტურულ-მასობრივი მომსახურების შესახებ.

ვაფრთხილებ აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, რომ უკეთესი ისინი თავისი ხელმძღვანელობის გაძლიერებით უმოკლეს ვადაში არ გამოასწორებენ პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს და გადაჭრით არ გააუმჯობესებენ ამ დაწესებულებათა მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების გამგემ ხალხო განათლების ყველა სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებმა პოლიტგანმუშაკთა რაიონულ თათბირებზე განიხილონ ეს ბრძანება და დასახონ ღონისძიებანი პოლიტგანდაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წლის 31 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახ. კომისარი გ. კიკნაძე.

ბრძანება № 2073 (ბ)

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. 31 მარტი

შემოწმებით დადასტურდა, რომ კასპის, ყვარელის, ლაგოდეხის, წყალტუბოს, წალკის, ლუქსემბურგის, ახალქალაქის, დუშეთის, საგარეჯოს და ლანჩხუთის რაიონებში წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მუშაობაში, მიუხედავად ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, ხოლო ყვარელისა და კასპის რაიონებში წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სწავლება ჩაშლილია. ყვარელში რუსული ენის უცოდინარი 24 წვევამდელი და რუსული ენის მცირემცოდნე თადარიგის 8 მეთაური სწავლების გარეშეა დატოვებული. კასპის რაიონში წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სწავლების საქმეში ადგილი აქვს თვითდინებას, განათლების განყოფილებამ არ იცის რამდენი წვევამდელი და თადარიგის მეთაურთა სწავლებაში ჩასამბელი და აქედან რამდენი სწავლობს.

დუშეთის რაიონში მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცირემცოდნე ხუთი წვევამდელი სწავლების გარეშეა დატოვებული და განათლების განყოფილებას არა აქვს მიღებული სათანადო ზომები მათი სწავლებაში ჩასამბელად. ლაგოდეხის თადარიგის მეთაურთა რუსული ენის სკოლაში მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების საქმე არ არის მოგვარებული: თადარიგის 12 მეთაურიდან მეცადინეობას საშუალოდ ესწრება 7—8 კაცი. სუსტია რიგი რაიონების (წალკა, ლაგოდეხი, წყალტუბო და სხვ.) განათლების განყოფილებათა მეთოდური ხელმძღვანელობა წვევამდელთა და თადარიგის

მეთაურთა რუსული ენის სკოლებზე, რის შედეგად აღნიშნულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელი მუშაობა არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

წვევამდელთა სკოლები არაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური მასწავლებლებით, მსმენელები არ არიან მონარაგებულნი სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა სასწავლო ნივთებით. ზოგიერთ მასწავლებელს არ აქვს სამუშაო გეგმები და დღიურები.

წერთი სამუშაოები წვევამდელთა სკოლებში საკმაო რაოდენობით არ ტარდება და წერთი ნამუშევრები გულდასმით არ სწორდება, ხოლო ზოგიერთი მასწავლებელი არ ასწორებს გამოსაშვებ საგამოცდო წერთ ნამუშევრებსაც. პროგრამული კურსის გავლას მასწავლებელნი არ უკავშირებენ სამამულო ომის ეპიზოდებიდან აღებულ გმირობის მაგალითებს და საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან წვევამდელელებში საბჭოთა პატრიოტიზმის აღზრდას. მასწავლებლები ზუსტად არ აღრიცხავენ მსმენელთა მეცადინეობაზე დასწრებას და უმიზნოდ გამცდენთა წინააღმდეგ არ იღებენ ზომებს და სხვ.

აქედან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ დაუყოვნებლივ აღადგინოს მუშაობა ყვარლის წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებში. უზრუნველჰყოს რუსული ენის 24 უცოდინარი წვევამდელისა და რუსული ენის მცირემცოდნე თადარიგის 8 მეთაურის სწავლებაში ჩაბმა.

2. კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით ა/წ 10 აპრილამდე ზუსტად აღრიცხოს წერა-კითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე, მშობლიური ენის მცოდნე, მაგრამ რუსული ენის არ მცოდნე წვევამდელეები, რუსული ენის მცირემცოდნე თადარიგის მეთაურები და ჩააბას ისინი სწავლებაში.

3. დუშეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ დაუყოვნებლივ ჩააბას სწავლებაში 5 მცირემცოდნე წვევამდელი, რომელნიც ამჟამად სწავლების გარეშე არიან დატოვებული.

4. ლაგოდეხის, წალკის, კასპის, ყვარლის, ლუქსემბურგის, დუშეთის, ახალქალაქის, წყალტუბოს და საგარეჯოს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გადაჭრით გააძლიერონ ხელმძღვანელობა წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებზე და წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სწავლების ხარისხზე აიყვანონ სათანადო სიმაღლეზე. რისთვისაც:

ა) ადგილობრივ სასოფლო საბჭოებთან და სამხედრო სარიატებთან ერთად უზრუნველყონ წვევამდელთა და მეთაურთა სკოლების მსმენელთა—100 პროცენტით დასწრება მეცადინეობაზე;

ბ) გააძლიერონ კონტროლი წვევამდელთა და თადარიგის მეთაურობის სკოლებზე, თვეში ერთხელ შეამოწმონ ამ სკოლების მუშაობა და შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წერიითი მუშაობის ნორმების შესრულებასა და მათი გასწორების საქმეს;


გ) წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მსმენელთა გამოშვება მოხდეს გეგმით გათვალისწინებული საათების ამოწურვის და საპროგრამო მასალის მთლიანად გავლის შემდეგ, ზეპირი და წერიითი გამოცდების საშუალებით.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების საოლქო განყოფილების გამგემ და ყველა საქალაქო და სარაიონო განათლების განყოფილების გამგეებმა განიხილონ ეს ბრძანება წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მასწავლებელთა თათბირზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

7. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველოს უფროსმა ამხ. გაბისონიამ სისტემატური კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების რეალიზაციის მიმდინარეობას და შედეგები პერიოდულად მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველ რ: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წ. 31 მარტის დადგენილება.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი გ. კიკნაძე.



1942 წლის 3 მარტი

წმინდაფელთა შორის წ/კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისა და წმინდაფელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შემოწმებამ ცხადჰყო, რომ, მიუხედავად ზოგიერთი მიღწევებისა, მთელ რიგ რაიონებში ამ საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ რაიონში სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას მშობლიურ ენაზე წერაკითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე წვევამდელთა, აგრეთვე რუსული ენის მცირემცოდნე თადარიგის მეთაურთა აღრიცხვის საქმე. ახალციხის რაიონის განათლების განყოფილების მიერ განსახკომში წარმოდგენილი ცნობით რაიონში აღრიცხულია წერაკითხვის უცოდინარი 60 წვევამდელი. ადგილზე შემოწმებით კი აღმოჩნდა 71; ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებას არ მოეპოვება ზუსტი ცნობები თადარიგის მეთაურთა და წვევამდელთა რაოდენობისა და მათი სწავლებაში ჩაბმის შესახებ.

რიგ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს აღრიცხულ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა კონტინგენტის ჩაბმა სწავლებაში. ყვარლის რაიონში რუსული ენის უცოდინარ 141 წვევამდელიდან და თადარიგის მეთაურიდან სწავლებაში ჩაბმულია 130 კაცი, ორჯონიკიძის რაიონში 15 კაციდან მხოლოდ 5 და ასე შემდეგ.

ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილებამ ვერ უზრუნველჰყო წერაკითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების სათანადო ბინით, განათებით, გათბობით და მსმენელები ვერ მოამარაგა საჭირო სახელმძღვანელოებით. ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის წვევამდელები მეცადინეობენ ფაბრიკის სასადილოში, სადაც სწავლა სადილობის დროს მიმდინარეობს. წალკის განათლების განყოფილებამ არ გამოისყიდა და მწვევამდელებს არ მიაწოდა მისი მოთხოვნით სახელგამის მალაზიის მიერ გაგზავნილი რუსული ენის სახელმძღვანელოები.

მთელი რიგი რაიონების სკოლებში არადამაკმაყოფილებელია მსმენელთა დასწრება მეცადინეობაზე. სიღნაღის სკოლაში 18 ვაშლიდან მეცადინეობას ესწრება 2—3 კაცი, სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირში—16 მსმენელიდან 4—5 კაცი.

ზოგიერთ რაიონში წერაკითხვის სკოლების მსმენელთა ცოდნის დაბალი დონე აიხსნება გაკვეთილის დროის ბიუჯეტის არარაციონალურად გამოყენებით, რაც ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მასწავლებლების უგეგმო მუშაობით, მათი მოუმზადებლობით გაკვეთილისათვის (ორჯონიკიძის, ყარაიას, ბორჩალოს რაიონები).

სუსტია განათლების განყოფილებათა მეთოდური დახმარება და კონტროლი წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებზე. ონის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს წლის განმავლობაში ერთხელაც არ შეუმოწმებია თადარიგის მეთაურთა რუსული ენის სკოლის მუშაობა. დროულად არ მიაწოდა სკოლას განსახკომიდან მიღებული რუსული ენის სასწავლო გეგმა და პროგრამა, რის შედეგად კურსდამთავრებულთა ვადაზე გამოშვება შეფერხდა.

სუსტია აგრეთვე ამ საქმეში ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის (პროფესიული კავშირების) და სხვ. მონაწილეობა, რის გამო ვბრძანებ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განსახკომებმა, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის განათლების საოლქო განყოფილების და სახალხო განათლების სარაიონო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით ზუსტად აღრიცხონ წერაკითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე და რუსული ენის უცოდინარი წვევამდელნი და თადარიგის მეთაურნი და ჩააბან ისინი სწავლებაში;

ბ) ადგილობრივ სასოფლო საბჭოებთან ერთად უზრუნველჰყონ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლები სათანადო ბინით, გათბობით, განათებით, ხოლო მსმენელები საქირო სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლო ნივთებით;

გ) სასოფლო საბჭოებთან და სამხედრო კომისარიატებთან ერთად უზრუნველჰყონ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მსმენელთა 100%-ით დასწრება მეცადინეობაზე;

დ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებზე, თვეში ერთხელ შეამოწმონ ამ სკოლების მუშაობა და ადგილზე გაუწიონ მათ სათანადო ორგანიზაციული და მეთოდური დახმარება;

ე) თვეში ერთხელ ჩაატარონ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მასწავლებელთა სარაიონო კონფერენციები, სადაც მოეწყოს მეთოდური ხასიათის მოხსენებები წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების სწავლების შესახებ და საუკეთესო სკოლების (მოწინავე) გამოცდილების გაზიარება.

2. წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მასწავლებლებმა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გააძლიერონ თავის თავზე მუშაობა, განსახკომის პროგრამის საფუძველზე შეადგინონ სამუშაო გეგმები რუსულ ენაში, სისტემატურად და ზუსტად აღრიცხონ სკოლების მსმენელთა აკადემიური წარმატება, მათი მეცადინეობაზე დასწრება და გაკვეთილებზე დამუშავებული მასალა.

3. წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მსმენელთა გამოშვება მოხდეს გეგმით გათვალისწინებული საათების ამოწურვისა და საპროგრამო მასალის მთლიანად გავლის შემდგომ ზეპირი და წერიტი გამოცდების საშუალებით, ხოლო კურსდამთავრებულთა სიები და საგამოცდო წერიტი ნამუშევრები ინახებოდეს განათლების განყოფილებებში.

4. პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის სამმართველომ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლები უზრუნველჰყოს სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით.

5. განათლების განყოფილებებმა დასვან რაიალმასკომებში საკითხი იმის შესახებ, რომ სასოფლო-საბჭოების თავმჯდომარეებმა საჭირო დახმარება გაუწიონ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლებს და უზრუნველჰყონ ისინი შესაფერისი მატერიალური საშუალებით.

6. დაისვას სათანადო ორგანოებში საკითხი იმის შესახებ, რომ ადგილობრივმა საბჭოთა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სწავლების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეში.

7. განათლების განყოფილებებმა ყოველი თვის 5 რიცხვში წარმოადგინონ განსახკომში გასული თვის ანგარიში წვევამდელთა და თადარიგის მეთაურთა სკოლების მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი : საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

ს ა ქ . ს ს რ განათლების სახალხო კომისრის

მოადგილე მ. ბურჭულაძე



აზნაზეთისა და აზარის ასსრ განსახორციელებს, სამხრეთ-
 ოსეთის ავტონომიური ოლქის და ყველა საქალაქო
 და სარაიონო განათლების განყოფილებათა გამგეობებს

ცირკულარულად № 107

ადგილებზე ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ 1923, 1924, 1925 წლებში დაბადებული წერაკითხვის უცოდინარ, მცირემცოდნე და მშობლიური ენის მცოდნე, მაგრამ რუსულის არმცოდნე წვევამდელთა სწავლება-ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. რიგი განათლების განყოფილების გამგეებმა ვერ გაატარეს ამომწურავი ღონისძიებანი წვევამდელთა კონტიგენტის ზუსტი აღრიცხვის, სკოლების სწორად დაკომპლექტების, კვალიფიციური მასწავლებლების შერჩევის, სწავლების ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისა და წვევამდელთა სკოლებზე სწორ ხელმძღვანელობის საქმეში.

წვევამდელთა სწავლების გაუმჯობესების მიზნით გავალებთ გაატაროთ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებთან შეთანხმებით ზუსტად აღრიცხოთ 1923, 1924, 1925 წლებში დაბადებული წერაკითხვის უცოდინარი, მცირემცოდნე და მშობლიური ენის მცოდნე, მაგრამ რუსული ენის არ მცოდნე წვევამდელები და ჩააბათისინი სწავლებაში:

ბ) უზრუნველყოთ წვევამდელთა სკოლები სათანადო ბინებით განათებით, გათბობით, ხოლო მსმენელები რვეულებით და სახელმძღვანელოებით. წვევამდელთა სკოლებისათვის რუსული ენის სპეციალური სახელმძღვანელოების უქონლობის შემთხვევაში, გამოიყენეთ საშუალო სკოლების რუსული ენის შესაფერისი კლასების სახელმძღვანელოები და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები;

გ) სამხედრო კომისარიატისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დახმარებით უზრუნველყოთ წვევამდელთა სკოლების მსმენელთა უკლებლივ დასწრება მეცადინეობაზე.

დ) გააძლიეროთ ხელმძღვანელობა და კონტროლი წვევამდელთა სკოლებზე, თვეში ერთხელ შეამოწმოთ ამ სკოლების მუშაობა და ადგილებზე გაუწიოთ მათ სათანადო ორგანიზაციული და მეთოდური დახმარება;

ე) ჩაატაროთ წვევამდელთა სკოლების მასწავლებლების თათბირები, მეთოდური ხასიათის მოხსენებებით და მოწინავე სკოლების გამოცდილებათა გაზიარებით, ხოლო მასწავლებლებმა იქონიონ სამუ-

შო, გეგმები, უზრუნველყოს ჩატარებული მუშაობის ყოველდღიური აღრიცხვა.

საქართველოს
საგარეო
მინისტროს
გენერალური
სამდივოს
სამსახური

განათლების განყოფილებასთან გამგეებმა უშუალოდ უხელმძღვანელონ წვევამდელთა სწავლების საქმეს და პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება.

15 აპრილისათვის წარმოადგინოთ წერილობითი მოხსენება ჩატარებული მუშაობის შესახებ და სათანადო სტატისტიკური ცნობები თანდართული ფორმის მიხედვით.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისრის
მოადგილე მ. ბურჭულაძე
პოლიტგანმუშაობის სამმართველოს
უფროსი მ. გაბისონია

აფხაზეთის და აჭარის ასსრ განსახორციელებს, სამხრეთ-ოსეთის
ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებას

**სახალხო განათლების ყველა სარაიონო საქალაქო
განყოფილების და პოლიტსაგანათლებლო
დაწესებულებათა გამგეებს**

ცირკულარულად № 138

მიმდინარე წელს ყველა ქვეყნის მშრომელები საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დღესასწაულს პირველ მაისს აღნიშნავენ კაცობრიობის ისტორიაში უსასტიკესი ომის პირობებში, რომელიც კაციჭამია ფაშისტ-ბარბაროსებმა თავზე მოახვიეს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს.

პირველ მაისს დიადი საბჭოთა კავშირის ხალხები ხვდებიან უდიდეს ისტორიულ ვითარებაში, როდესაც ძლევამოსილი წითელი არმია, მისი მხედართმთავრის საყვარელი სტალინის გენიალური სტრატეგიული გეგმის მიხედვით ლახვარს სცემს და ჩვენი მშობლიური მიწა-წყლიდან მიერეკება ფაშისტ ყაჩაღებს.

მთელი მსოფლიოს თავისუფალი ხალხები, გერმანელ ფაშისტთა ტირანიის ქვეშ მგმინავი ერები, ჰიტლერულ მტაცებელთა მიერ დროებით ოკუპირებული ჩვენი ქვეყნის ოლქებისა და რაიონების ვერაგი მტრის მიერ გაძარცული, დამწყვდილი და შეურაცხყოფილი მოსახლეობა რწმენით აღსავსე იმედის თვალთ შეჰყურებს წითელ არმიას, რომელიც მოწოდებულია ფაშისტური შავი ჭირისაგან იხსნას კაცობრიობა, თავის უფლებებში აღადგინოს ადამიანის ღირსებები

იქ, სადაც მათი დროებით გათელვა შესძლეს ჩვენი საუკუნის გერმანელმა კანცლერებმა.

„მაგრამ ეს მიზნები რომ განვახორციელოთ, ამისათვის გერმანელ დამპყრობთა სამხედრო ძლიერება უნდა გავანადგუროთ, უნდა გავუღლიტოთ უკლებლივ ყველა გერმანელი ოკუპანტი, რომლებიც ჩვენს სამშობლოში შემოიჭრნენ მის დასამონებლად.

მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და მიაწოდონ ფრონტს სულ უფრო და უფრო მეტი ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ქვემეხები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნალმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საომარი მასალები, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ თავიანთ მიწებში და ფროტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის“.

(ს ტ ა ლ ი ნ ი).

ბელადის ამ მითითების რეალიზაციის, ვერაგ მტერზე საბოლოო გამარჯვების ნიშნით უნდა ჩატარდეს წელს საპირველმაისო დღესასწაული.

ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტიკანდაწესებულებებმა, რომლებმაც, უპირველეს ყოვლისა თავისი აქტივისტების საშუალებით უნდა ჩაატარონ მოხსენებები, საუბრები პირველი მაისის დღესასწაულის ისტორიაზე, მის რევოლუციურ მნიშვნელობაზე, ხაზი გაუსვან ეკონომიური, პოლიტიკური, სულიერი მონობის იმ რეჟიმს, რომელიც ფაშისტური რეაქციის ბატონობის ქვეყნებშია გამეფებული და რომლის სამუდამოდ დანგრევის, მთელი მსოფლიოს ხალხთათვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დამყარების უდიდეს ისტორიულ მისიას ასრულებს ძღვევამოსილი წითელი არმია დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით.

საპირველმაისო საუბრების წამყვან თემას უნდა წარმოადგენდეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების მაღალხარისხოვნად ჩატარება, ამ მუშაობაში ქალთა შრომის ფართოდ გამოყენება, მეცხოველეობის შემდგომი განვითარების შესახებ — საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, საკ. სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის დადგენილებების კოლმეურნეთა შორის ფართო ახსნა-განმარტება. ამ საკითხების გარშემო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარებასთან ერთად პოლიტიკანდაწესებულებათა მუშაკებმა და აქტივისტებმა უშუალო მონაწი-

ლეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობებში სოცშეჯიბრების გამოშვების
დეახმარონ მათ სათანადო ხელშეკრულებების გაფორმებაში. გამოშვების
ქვეყნის
საქართველო
რონ პრაქტიკული კონსულტაციები სოფლის მეურნეობის ცალკეულ
საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ჩვენმა კოლმეურნეო-
ბებმა ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ კიდევ უფრო მეტი სურ-
სათი, სასოფლო სამეურნეო ნედლეული და ამით დაეხმარონ გმი-
რულ წითელი არმიის მეომრებს გერმანელ ოკუპანტთა განადგურ-
ებაში.

ამასთან ერთად, თითოეულმა პოლიტგანდაწესებულებამ მაქ-
სიმალური ნაყოფიერებით უნდა გამოიყენოს მასობრივი აგიტაცია-
პროპაგანდის სხვა საშუალებანიც: საზეიმო დღისათვის გამოსცეს
კედლის გაზეთის სპეციალური, შესაფერისად გაფორმებული ნომე-
რი, მოაწყონ გასამხედროებული ვარჯიში და თამაშობანი—ფრონ-
ტისათვის, მამაცი და სახელოვანი წითელი არმიისათვის დახმარე-
ბის გაძლიერების ღოზუნგით.

ამ მუშაობაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული თვალსა-
ჩინოება—ღოზუნგი, პლაკატი, და გამოფენა. გამოფენა უნდა მოე-
წყოს ყველა პოლიტგანდაწესებულებასთან (იქ, სადაც გამოფენა მო-
წყობილია, შეივსოს ახალი მასალებით). ამ გამოფენამ უნდა ასახოს
საბჭოთა ხალხის მზადყოფნა მტრის განადგურებისათვის, წითელ-
არმიის ძლევამოსილება მტერთან ბრძოლაში, კოლმეურნეების თავ-
დადებული შრომა ზურგში და და სხვა. პარალელურად ამ ღონის-
ძიებისა, უნდა მოეწყოს თემატურად შერჩეული წიგნების გამო-
ფენა ბიბლიოთეკებსა და საკლუბო დაწესებულებებში. მოეწყოს
პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის ხმა მაღალი კითხვა.

კლუბებმა და ქოხ-სამკითხველოებმა კოლმეურნეებს უნდა
უჩვენონ კინო-ფილმები თავდაცვის თემებზე (გერმანელ ოკუპანტთა
განადგურება მოსკოვთან, საბრძოლო კინო-ქრონიკები და სხვ.),
მოაწყონ საზეიმო სხდომები მოხსენებებითა და მხატვრული ნაწილი
(30 აპრილს და 1 მაისს), ხოლო შენობები, როგორც გარედან ისე
შიგნით, მორთონ ბელადების პორტრეტებით, ღოზუნგებით, პლა-
კატებით და ყვავილწუნულებით.

საქ. განათლების სახ. კომისრის მოადგილე
მ. ბურჭულაძე
პოლიტგანმუშაობის სამმართველოს
უფროსი მ. გაბისონია

1942



ავხაზეთის და აჭარის ასსრ განსახარებებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, სარაიონო და საოლქო განათლების განყოფილებათა გამგეებს, დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებს (გამგეებს).

ცირკულარულად № 202

1942 წ. 6 მაისი

შემოწმებით დადასტურდა, რომ მთელი რიგი რაიონების განათლების განყოფილებები, სკოლების დირექტორები და მასწავლებლები არ ღებულობენ საქირო ზომებს მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოშორების წინააღმდეგ და არ იბრძვიან სკოლიდან განთავსილ მოსწავლეთა სკოლაში დასაბრუნებლად.

მაგალითად: ახალქალაქის რაიონის სკოლებს 1-ლ თებერვლამდე ჩამოსცილდა 3.589 მოსწავლე, კასპის რაიონის სკოლებს 1.856 მოსწავლე, ბორჩალოს რაიონის სკოლებს 1250 მოსწავლე, საჩხერის რაიონის სკოლებს—1.175 მოსწავლე, ამბროლაურის რაიონის სკოლებს—1.259 მოსწავლე. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ბორჯომის, ზემო-სვანეთის, ლუქსემბურგის, ყარაიას, აფხაზეთის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის რაიონებშიც.

საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში ამ გარღვევების სასწრაფოდ ლიკვიდაციისათვის გავალებთ გაატაროთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. სკოლების დირექტორების (გამგეებისა) და მასწავლებლების უშუალო მონაწილეობით სასწრაფოდ ჩაატაროთ სასკოლო უბნების მიხედვით სკოლებიდან ჩამოშორებულ და ევაკუირებულ ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა. ცალ-ცალკე შეადგინოთ სიები:

- ა) იმ მოსწავლეთა, რომლებიც სკოლას ჩამოშორდნენ 1941 წელში და უფრო ადრე, და
- ა) იმ მოსწავლეთა, რომლებიც სკოლას ჩამოშორდნენ 1942 წლის 1 იანვრიდან,—მათი სკოლაში ჩამოშორების მიზეზისა და კლასის ჩვენებით.

2. ამ საქმეში ფართოდ ჩააბათ მშრომელთა დებუტატების სასოფლო და საქალაქო საბჭოებთან არსებული სასკოლო კომისიები,

მოსწავლეთა და პიონერთა ორგანიზაციები და მშობელთა კონიტე-
ტები.



3. დირექტორების (გამგებების) პასუხისმგებლობით—სკოლებში დაბრუნებულ მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენილობის გამოსასწორებლად, მოაწყოთ მათი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობა შემდეგნაირად:

ა) 1941 წელში და უფრო ადრე სკოლიდან ჩამოშორებულ მოსწავლისათვის მოაწყონ ჯგუფური მეცადინეობა ცალკე კლასების მიხედვით, თუ მოსწავლეთა რიცხვი 3-ზე მეტია, ხოლო ინდივიდუალური მეცადინეობა, თუ მოსწავლეთა რიცხვის 3-ზე მეტი არ არის.

ბ) 1942 წლის 1-ლ იანვრიდან სკოლებიდან ჩამოშორებული მოსწავლეები, რომლებიც თავიანთი მომზადებით იძლევიან საპროგრამო მასალის დაძლევის იმედებს, დააბრუნოთ სათანადო კლასებში და მათთან აწარმოთ ჩვეულებრივი სასკოლო მეცადინეობა, ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც ცოდნაში ძალზე ჩამორჩენილი არიან და არ შესწევთ საპროგრამო მასალის დაძლევის უნარი, ჩააბათ ინდივიდუალურ და ჯგუფურ მეცადინეობაში.

გ) გამოყოთ ამ მოსწავლეებისათვის სამეცადინოდ სპეციალური ოთახი და მოამარაგოთ ისინი საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით.

დ) ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა მოაწყოთ გაკეთილების შემდეგ, საზაფხულო არდადეგების დაწყებამდე (30 მაისამდე), ხოლო არდადეგების დაწყების შემდეგ, მეცადინეობა აწარმოთ დილიდანვე ყოველდღიურად მანამდე, სანამ მოსწავლეების მიერ პროგრამულა მასალა არ იქნება შეთვისებული.

ე) მეცადინეობის ნორმალურად წარმართვისათვის შეადგინოთ მეცადინეობის ცხრილი და თვალყური ადევნოთ მის შესრულებას.

ვ) სისტემატურად შეამოწმოთ ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობის მიმდინარეობა და მასწავლებლებს აღმოუჩინოთ დახმარება სწავლების უკეთ დაყენების საქმეში.

ზ) ამ მოსწავლეთათვის საშემოდგომო გამოცდები ჩაატაროთ ყველა საგანში 20-დან 31 აგვისტომდე, გამოცდების ჩატარების წესების მტკიცე დაცვით.



4. მასწავლებლებმა ჩაატარონ მშობლებს შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მათ ხელი შეუწყონ თავიანთ ბავშვებს მეცადინეობაში საშემოდგომო გამოცდებზე მომზადებულად გამოცხადებისათვის.

5. განათლების განყოფილებათა გამგეებმა შეამოწმონ თითოეულ სკოლაში დაბრუნებულ მოსწავლეებთან მეცადინეობის მიმდინარეობა და ამ სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების საქმეში დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის გამოჩენის შემთხვევაში დირექტორისა და მასწავლებლის წინააღმდეგ მიიღონ გადამკრედი ზომები.

6. განათლების განყოფილებათა გამგეებმა სკოლიდან ჩამოშორებულ მოსწავლეთა სკოლაში დაბრუნებისა და მათთან მეცადინეობის შესახებ ცნობები გამოგზავნონ განსახკომში: 15-სა და 30 მაისისა, 15-სა და 30 ივნისისა და 15-სა და 30 აგვისტოს რიცხვებში.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი ზ. ბიძინაძე

სამხედრო შინაარსის მათემატიკური ამოცანები

საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის სხდომაზე მიღებული იქნა დადგენილება მათემატიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის ამოცანებთან დაკავშირებით. ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი მასწავლებლებმა უნდა განახორციელონ მოსწავლეთა მიერ მათემატიკის მთელი კურსის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საფუძველზე, რადგან მათემატიკის სწავლების სამამულო ომის ამოცანებთან მტკიცედ დაკავშირების ძირითად პირობას წარმოადგენს არსებული პროგრამის ღრმად დაუფლება.

მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტი მუშაობის ჩატარება იქნება საჭირო ყველა სახის ამოცანების ამოხსნის ჩვევების დანერგვისათვის, როგორც არითმეტიკაში, ისე ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი ამოცანების შედგენის და ამოხსნის საქმეს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს თავდაცვასთან, ეკონომიკასთან, ტექნიკასთან, ასურათებს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას მტერთან, მოგვითბრობს იმ შესაჩივრებ შრომაზე, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა გამარჯვებისათვის და ისეთი სამხედრო შინაარსის ამოცანების შედგენას და ამოხსნას, რომლებიც გააცნობენ მოსწავლეებს ამათუიპ სახის იარაღს და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გადავიღებენ წითელ არმიის მეთაურთა და მებრძოლთა მომზადებას.

სანიმუშოდ განვიხილოთ სამხედრო ხასიათის რამდენიმე ამოცანა, როგორც არითმეტიკიდან, ისე ალგებრიდან, გეომეტრიიდან და ტრიგონომეტრიიდან.

ამოცანა № 1. ქალაქების—როსტოვის, ტიხვინის, ელეცის და კლინის ალებისას დიდალ სხვა სამხედრო ქონებასთან ერთად ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს გერმანელების 2374 ავტომანქანა. აქედან როსტოვის, ტიხვინის და ელეცის ალებისას—1374 ავტომანქანა, ტიხვინსა და ელეცში—1009, როსტოვსა და ტიხვინში—467. რამდენი ავტომანქანა იგდეს ხელთ ჩვენმა ჯარებმა თითოეულ ქალაქში? (V კლ.).

ამოცანა № 2. ფრონტზე უნდა გაიგზავნოს 20000 შაშხანა. თითოეული შაშხანა დაახლოებით 4,5 კგ იწონის. რამდენი სამტონიანი მანქანა იქნება საჭირო ამ შაშხანების ერთდროულად გადასაზიდად?

ამოცანა № 3. დაზის ტყვიამფრქვევი და 6 კოლოფი დამუხტული სავაზნე ლენტებით 110,7 კგ იწონის. ტყვიამფრქვევი 18,3 კგ-ით მძიმეა, ვიდრე კოლოფები ლენტებით. რამდენ კოლოგრამს იწონის ტყვიამფრქვევი და რამდენს იწონის ერთი დამუხტული სავაზნე ლენტი, თუ ცალიერი კოლოფი 0,9 კგ იწონის?

ამოცანა № 4. ლანჩუთის რაიონის სოფ. ნიგოთის, სუფსისა და ქვიანის სკოლის პიონერებმა თავდაცვის ფონდისათვის შეაგროვეს 4,9 ტ შავი და ფერადი ლითონი. სუფსის და ქვიანის სკოლის პიონერებმა ერთად 1,3 ტ ითმეტი შეაგროვეს, ვიდრე ნიგოთის სკოლის პიონერებმა. სუფსის სკოლის

პონერებმა ვი $O, 1$ ტ-ით მეტი ვიდრე ქვიანის სკოლის პონერებმა. რამდენი ტონა შავი და ფერადი ლითონი შეაგროვეს ნიგოეთის, სუფსტისა და ქვიანის სკოლის პონერებმა ცალცალკე?

ამოცანა № 5. ქ. კალინინის აღებისას ჩვენმა ჯარებმა დიდძალ სხვა სამხედრო ქონებასთან ერთად ხელთ იგდეს გერმანელების ქვეშევრდები, ნაღმსატყორცები, ტყვიამურქვევები და ავტომატები სულ 1250 ცალი. აქედან ქვეშები— $6,4\%$, ტყვიამურქვევი— 20% , ავტომატი— 64% , დანარჩენი ნაღმსატყორცნი. რამდენი ქვეშები, ტყვიამურქვევი, ავტომატი და ნაღმსატყორცნი იგდეს ხელთ ცალცალკე ჩვენმა ჯარებმა?

ამოცანა № 6. საბრძოლო პირობებში მსროლელთა შორის მანძილი საშუალოდ $3,5$ მ-ია. 10 მსროლელი, დაწოლილი და მკერდაწვეული სასროლად მომზადებული წარმოდგენს 35 მ სიგრძის ფრონტზე განლაგებული 10 მკერდის სამიხნე ფარს. იპოვეთ მსროლელთა ფართობის შეფარდება მათ მიერ დაკავებულ მთელ ფართობთან. (მკერდის სამიხნეს ზომებია: $0,5, 0,5$ მ²).

ამოცანა № 7. ათეულს ესვრიან 800 ნაბიჯის მანძილიდან; ათეული განლაგებულია ფრონტით 35 მ სიგრძის ნაკვეთზე. მოწინააღმდეგის ათეულიც აგრეთვე წოლელა ისვრის (მკერდის სამიხნე), გასროლილია 200 ვაზნა. რამდენი ტყვია მოხვდება? (800 ნაბიჯის მანძილზე შაშხანიდან სროლის დროს კარგი მსროლელისათვის მოხვედრის ფართობის სიმაღლე $= 1,25$ მ).

ამოცანა № 8. ავანგარდსა და მთავარ ძალებს შორის მანძილი 6 კმ-ია, სალაშქრო რაზმეული მოძრაობს საათში 4 კმ სიჩქარით, რა სიჩქარით უნდა წავიდეს ცხენოსანი შიკრიკი, რომ 1 საათის განმავლობაში მოასწოროს ბრძანების მიტანა მთავარი ძალებიდან ავანგარდის უფროსთან?

ამოცანა № 9. ლეგიონის მეთაურმა 4 საათზე ცხენოსანი შიკრიკით გაგზავნა ბრძანება ალალის მძლავრთან. ამავე დროს ალალიდან წამოვიდნენ ლეგიონში რამდენიმე სახიდი. შიკრიკი შეხვდა სახიდებს 5 საათზე; ხოლო სახიდები კი მივიდნენ ლეგიონში 7 საათზე. რა მანძილია ლეგიონიდან ალალამდე, თუ შიკრიკი გადიოდა საათში 4 კმ-ით მეტს, ვიდრე სახიდები?

ამოცანა № 10. სამ A, B და C პუნქტებს შორის, რომლებიც ერთ გზაზეა განლაგებული, მოწყობილია მფრინავი ფოსტის საგუშაგოები. A და B პუნქტებს შორის ცნობების გადაცემა ხდება ცხენოსანი შიკრიკების საშუალებით, ხოლო B და C შორის მოტოციკლისტებით. მანძილი A და B -ს შორის 12 კმ-ია. ცხენოსანი შიკრიკის სიჩქარეა 8 კმ-საათში. ხოლო მოტოციკლისტების სიჩქარე— 25 კმ/საათში, გავიგოთ მანძილი A და C -ს შორის, თუ ფოსტა A -დან C -მდე გადაეცა 2 საათში.

ამოცანა № 11. მოტოციკლისტმა გაუბრძინა მიმავალი დივიზიის სალაშქრო რაზმეულს 30 მინუტში, სალაშქრო რაზმეულის შეჩერების დროს იგივე მანძილი მისი თავიდან ბოლომდის მოტოციკლისტმა 25 მინუტში გაიბრძინა. რას უდრის დივიზიის სალაშქრო რაზმეულის სიღრმე და მოტოციკლისტის სიჩქარე, თუ ქვეითი ჯარი მოძრაობს 4 კმ სიჩქარით საათში?

ამოცანა № 12. A სადგურზე დგას მტრის ჯავშნიანი მატარებელი; B ადგილზე ჩვენი ავიოესკადრილია, რომელსაც მიეცა ბრძანება, გაანადგუროს მტრის ჯავშნიანი მატარებელი, როდესაც თვითმფრინავები აფრიდნენ, ჯავშნიანი მატარებელი გაემართა სადგურ A -დან C -კენ საათში 80 კმ სიჩქარით. თვითმფრინავის სიჩქარე 600 კმ/საათ. მანძილი $AB=120$ კმ, $\angle BAC=120^\circ$. რამდენ ხანში დაეწვიან თვითმფრინავები ჯავშნიან მატარებელს?

მანძილის გამოანგარიშების სხვადასხვა შემთხვევები



ამოცანა № 13. მანძილის გამოანგარიშება ორ წერტილს შორის როდესაც ალო გაზომვა შეუძლებელია.

ველად აირჩიეთ რომელიღაც ორი საგანი A და B (ზე, სახლი, ტელეგრაფის ბოძი და სხვ.) წარმოიდგინეთ, რომ მათ შორის დაბრკოლებაა, რის გამოც მანძილის უშუალოდ გაზომვა შეუძლებელია. აირჩიეთ მესამე წერტილი, რომლიდან არჩეულ საგნებამდე მანძილს გაზომვა შესაძლებელია. ამ მანძილების გაზომვის საშუალებით გამოანგარიშეთ მანძილი A -სა და B -ს შორის. ამის შემდეგ უშუალოდ გაზომეთ მანძილი A და B -ს შორის და მიღებული შედეგები ერთმანეთს შეადარეთ.

იპოვეთ A და B -ს შორის მანძილის გამოანგარიშების ცდომილების პროცენტი უშუალო გაზომვის შედეგთან შედარებით.

ამოცანა № 14. აწარმოეთ თვითონ საჭირო გაზომვები და იპოვეთ მანძილი A წერტილიდან ყოველმხრივ მიუკალ B წერტილამდის.

ამოცანა № 15. აწარმოეთ საჭირო გაზომვები და იპოვეთ ქარხნის მილის (ან სხვა რომელიმე საგნის) სიმაღლე თუ მილის ფუძე მიუვალაია.

ამოცანა № 16. აწარმოეთ საჭირო გაზომვები და იპოვეთ მდინარის სიგანე მეორე ნაპირზე გადაუსვლელად.

ამოცანა № 17. იპოვეთ მანძილი ორ მიუვალ წერტილს შორის. (რიბკინის ტრიგონომეტრიული ამოცანათა კრებული).

ამოცანა № 18. მტრის გამოჩენას მოელოან B ადგილას. ჩვენი ბატარია შენიღბულ A ადგილზეა მოთავსებული. იპოვეთ მანძილი A -და B -ს შორის.

ამოცანა № 19. ტბორესთან არსებულ დაკვირვების პუნქტიდან თვითმფრინავი მომჩანს β კუთხით ჰორიზონტის ზევით, ხოლო მისი გამოსახულება ტბორეში α კუთხით ჰორიზონტის ქვეით. განსაზღვრეთ თვითმფრინავის სიმაღლე ტბორეს დონიდან და მანძილი დაკვირვების პუნქტიდან თვითმფრინავამდე, თუ დამკვირვებლის სიმაღლე ტბორეს დონიდან არის $\frac{1}{2}$ ($\beta=34^{\circ}40'$, $\alpha=35^{\circ}5'$, $h=10$ მ) *.

ამოცანა № 20. მანძილი დამკვირვებლის ადგილიდან სამიზნო წერტილამდე 600 მ-ია, მისი ამაღლება 30 მ-ია, გამოჩნდება, თუ არა ეს წერტილი, თუ საგანი, რომელიც ხელს უშლის დაკვირვებას დამკვირვებლის წერტილზე 15 მ-ით მაღლა ძვეს, ხოლო მანძილი ამ საგნიდან დამკვირვებლის ადგილამდე 270 მ-ია.

ამოცანა № 21. ტანკაწინააღმდეგო ესკარპის სიგანეა 4 მ, ხოლო კედლის სიმაღლე 1, 25 მ. რამდენი მეტროლია საჭირო, რომ 5 საათის განმავლობაში გაკეთდეს ასეთი ესკარპი 240 მ სიგრძეზე, თუ თითოეული მეტროლი საათში მესანჯრის ნიჩბით 1,5 მ³ მიწას იღებს? (ესკარპი წარმოადგენს სამწახნაგა პრიზმს).

ამოცანა № 22. ტანკაწინააღმდეგო თოვლის ყრილის ზომებია: ქვედა ფუძე—5 მ, ზედა ფუძე—3 მ, სიმაღლე 1,1 მ. რამდენ საათში გააკეთებს 440 მეტრის სიგრძეზე თოვლის ასეთ 2 ყრილს 400 მეტროლი, თუ თითო მეტროლი ხის ნიჩბით ტყეპნის საათში 1,76 მ³ თოვლს? (თოვლის ყრილი წარმოადგენს ოთხწახნაგა პრიზმს).

ამოცანა № 23. A ადგილიდან, სადაც ჩვენი ბატარეა ურტყამდა, მტერმა B ადგილზე გადაინაცვლა. კუთხსაზომის რამდენ დანაყოფზე უნდა მიაბრუნოს

* ამოცანები № 6 - 12 და 19 ამოლებულია პელინენის წიგნიდან.

მებრძოლმა ქვემეხი მიზნისაკენ, თუ დისტანცია 18 კმ-ია, ხოლო მანძილი A-დან B-მდე 600 მ-ია.

(ამოცანის ამოხსნისათვის ისარგებლეთ მეთავედში კუთხის გაზომვის ფორმულით $n=e \cdot \frac{1000}{D}$, სადაც n ხილვის კუთხეა, e ობიექტის სიგანე, ხოლო D დისტანცია).

ამოხსნათ ზემომოყვანილი რამდენიმე ამოცანა:

ამოცანა № 4

1. რამდენი ტონა ლითონი შეაგროვეს ნაგოითის სკოლას პიონერებმა?

$$(4, 9\text{ტ} - 1, 3\text{ტ}) : 2 = 1, 8\text{ტ}$$

2. რამდენი ტონა ლითონი შეაგროვეს სუფსის და ქვიანის სკოლის პიონერებმა ერთად?

$$1, 8\text{ტ} + 1, 3\text{ტ} = 3, 1\text{ტ}$$

3. რამდენი ტონა ლითონი შეაგროვეს ქვიანის სკოლას პიონერებმა?

$$(3, 1\text{ტ} - 0, 1\text{ტ}) : 2 = 1, 5\text{ტ}$$

4. რამდენი ტონა ლითონი შეაგროვეს სუფსის სკოლის პიონერებმა?

$$1, 5\text{ტ} + 0, 1\text{ტ} = 1, 6\text{ტ}$$

პასუხი: სუფსის სკოლის პიონერებმა შეაგროვეს 1,6 ტ შავი და ფერადი ლითონი, ქვიანის სკოლის პიონერებმა—1,5 ტ, ნაგოითის—1,8 ტ.

ამოცანა № 6

ერთი ცალი მკერდის სამიზნეს ფართობი არის $0,5 \cdot 0,5 = 0,25$ მ². 10 ცალი მკერდის სამიზნეს ფართობი იქნება: $0,25 \cdot 10 = 2,5$ მ². მაული ფართობი, რომელზედაც მოთავსებულია მსროლელები $35 \cdot 0,5 = 17,5$ მ². მათი შეფარდება იქნება:

$$2,5 : 17,5 = 1 : 7 = 14\%.$$

ამოცანა № 7.

ვთქვათ, სროლა თანაბრად სწარმოებდა, მაშინ ტყვიები მოხდებოდა $35 \cdot 1,25 = 43,75$ მ² ფართობს.

მსროლელების მიერ დაკავებული მთელი ფართობი არის 17,5 მ²

(იხილე წინა ამოცანა), ამნაირად ფართობების შეფარდება იქნება:

$17,5 : 43,75 = 40\%$, მაშასადამე, ყველა ტყვიიდან მსროლელების მიერ დაკავებულ ფართობს მიახლოებით მოხდებოდა მხოლოდ $40\% = 0,4$. ვინაიდან მსროლელთა ფართობი უდრის ამ ფართობის 14% , მათ, ე. ი. მსროლელებს შეიძლება მოხედეს $0,14 \cdot 0,4 = 0,056 = 5,6\%$. მაგრამ, ვინაიდან შუაგულია (серцевина) შეიცავს გასროლილი ტყვიების მხოლოდ ნახევარს, ამიტომ მსროლელებს მოხედება $2,8\% \cdot 200 = 5,6 = 6$ ტყვია.

ამოცანა № 9

განტოლების შედგენა

ვთქვათ, მანძილი ლეგიონიდან ალაღამდე x კმ-ია; რადგან სახიდები მთელი მანძილის გავლას 3 საათი მოუწოდნენ, ამიტომ მათი სიჩქარე იქნება

$$\frac{x}{3} \text{ კმ/საათ.}, \text{ ხოლო შიკრიკის სიჩქარე იქნება } \left(\frac{x}{3} + 4 \right) \text{ კმ/საათ.}$$

ამოცანის პირობის თანახმად 1 საათის შემდეგ შიკრიკი და სახიდები ერთმანეთს შეხვდნენ, ამიტომ 1 საათის განმავლობაში მათ მიერ გავლილი გზა ტოლი იქნება ლეგიონიდან ალაღამდე არსებული მანძილისა, ე. ი.

$$\frac{x}{3} + \frac{x}{3} + 4 = x$$

2. განტოლების ამოხსნა

$$x + x + 12 = 3x;$$

$$\underline{x = 12}$$

შემოწმება

თუ მანძილი ლეგიონიდან ალაღამდე 12 კმ იქნება, მაშინ სახიდების სიჩქარე იქნება $\frac{12}{3} = 4$ კმ. შიკრიკის სიჩქარე იქნება 4 კმ + 4 კმ = 8 კმ, რადგან 1 საათის შემდეგ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, ამიტომ მათ მიერ გავლილი გზა ტოლი უნდა იყოს 12., მართლაც:

$$4 \text{ კმ} + 8 \text{ კმ} = 12 \text{ კმ.}$$

ამოცანა № 10

განტოლების შედგენა

ვთქვათ, მანძილი A -დან C -მდე x კმ-ია, მაშინ მანძილი B და C -ს შორის $(x-12)$ კმ იქნება, რადგან ცხენოსანი შიკრიკების სიჩქარე 8 კმ/საათ. და მანძილი A და B -ს შორის 12 კმ-ია, ამიტომ ისინი ამ მანძილის გავლას $\frac{12}{8} = \frac{3}{2}$ საათს მოანდომებენ, ხოლო მოტოციკლისტები B და C -ს შორის მანძილს გაივლიან $\frac{x-12}{25}$ საათში.

ამოცანის პირობის თანახმად ფოსტა A -დან C -მდე გადაეცა 2 საათში ამიტომ:

$$\frac{3}{2} + \frac{x-12}{25} = 2.$$

განტოლების ამოხსნა

$$75 + 2x - 24 = 100$$

$$2x = 49$$

$$\underline{x = 24,5}$$

შემოწმება

თუ მანძილი A და C -ს შორის 24,5 კმ იქნება, მაშინ მანძილი B -დან C -მდე იქნება:

$$24,5 \text{ კმ} - 12 \text{ კმ} = 12,5 \text{ კმ.}$$

ცხენოსანი შიკრიკები 12 კმ გავლას ანდომებენ 1,5 საათს, ხოლო მოტოციკლისტები 12,5 კმ გავლას — $\frac{12,5}{25} = \frac{1}{2}$ საათს. ამოცანის პირობის თანახმად ფოსტა A -დან C -მდე გადაეცა 2 საათში, მართლაც:

$$1,5 \text{ საათი} + 0,5 \text{ საათი} = 2 \text{ საათი.}$$

პასუხი: მანძილი A და C -ს შორის 24,5 კმ ყოფილა.

განტოლების შედგენა

ვთქვათ, მოტოციკლისტის სიჩქარე x კმ/საათში, ხოლო დივიზიის სალაშქრო რაზმეულის სიღრმეზე y კმ-ია. რადგან მოტოციკლისტმა რაზმეულის შეჩერების დროს მანძილი მისი თავიდან ბოლომდის 25 მინუტში გაირბინა, ამიტომ სისტემის პირველი განტოლება იქნება: $\frac{y}{x} = \frac{5}{12}$. რადგან ქვეითი ჯარის სიჩქარე 4 კმ/საათში და მიმავალ სალაშქრო რაზმეულს მოტოციკლისტმა 30 მინუტში გაურბინა, ამიტომ სისტემის მეორე განტოლება იქნება $\frac{y+2}{x} = \frac{1}{2}$. მაშასადამე, გვაქვს სისტემა:

$$\frac{y}{x} = \frac{5}{12}, \quad \frac{y+2}{x} = \frac{1}{2}.$$

ამოვხსნით, რა ამ სისტემას მივიღებთ:

$$x=24 \text{ კმ და } y=10 \text{ კმ.}$$

პ ა ს უ ხ ი: მოტოციკლისტის სიჩქარე 24 კმ/საათ., ხოლო დივიზიის სალაშქრო რაზმეულის სიღრმე 10 კმ-ია.

ამოცანა № 12

განტოლების შედგენა


ვთქვათ, თვითმფრინავები ჯავშნიან მატარებელს დაეწევიან x საათს, მაშინ x საათის განმავლობაში თვითმფრინავები გაივლიან $600x$ კმ, ხოლო ჯავშნიანი მატარებელი— $80x$ კმ-ს.

განტოლების შესადგენად ვისარგებლოთ კოსინუსების თეორემით (ნახ. 1), მივიღებთ:

$$(600x)^2 = (80x)^2 + 120^2 - 2 \cdot 80x \cdot 120 \cos 120^\circ;$$

$$360000x^2 = 6400x^2 + 14400 + 9600x;$$

$$221x^2 - 6x - 9 = 0;$$



$$x = \frac{3 \pm \sqrt{9 + 1989}}{221};$$

$$x = \frac{3 \pm \sqrt{1998}}{221};$$

$$x \approx \frac{3 \pm 44,7}{221}$$

$$x \approx \frac{47,7}{221} = 0,22$$

პ ა ს უ ხ ი $\approx 13,2$ მინუტი.




მოც.: A და B წერტილები (ნახ. 2)
 უ.გ.: $AB=?$

AB მანძილის გასაგებად, ავიღოთ წერტილი C და მიწაზე გავზომოთ AC და BC მანძილები. ამის შემდეგ ვიპოვოთ AC და BC-ს შუა წერტილები, ვთქვათ ეს წერტილებია M და N, მაშინ $MN = \frac{1}{2} AB$, მაშასადამე, $AB=2 MN$. გავზომოთ MN-ს და ამით გავგებთ AB-საც.

იმ შემთხვევაში, როდესაც M და N-ს შორის სწორის გავლება შეუძლებელია, მაშინ ვიპოვოთ MC და NC მონაკვეთებია (ნახ. 3) M_1 და N_1 შუა წერტილებს. ამ შემთხვევაში $2 M_1 N_1 = MN$, მაგრამ $2 MN = AB$, მაშასადამე,

$AB=4 M_1 N_1$. თუ $MN = 6,2$ მ, მაშინ $AB=24,8$ მ.




ნახ. 2


ამოცანა № 14

რომ გავიგოთ მანძილი A წერტილიდან B მიუვალ წერტილამდის, საჭიროა ავიღოთ ნებისმიერ წერტილი C და გავავლოთ BC და AC სწორი ხაზები. M წერტილით AC-ს შუაზე გავყოთ და M წერტილიდან გავავლოთ MN-ს AB-

მაშინ $MN = \frac{1}{2} AB$, ე. ი. $AB=2 MN$.




ნახ. 3



ნახ. 4

ავიღოთ მისადგომ ადგილზე ჰორიზონტალური ნაკვეთი MN (ნახ. 5) და გავზომოთ მისი სიგრძე. ვთქვათ, $MN=a$. ასტროლიაბის საშუალებით (რომლის სიმაღლე არის h) გავზომოთ კუთხეები BEA და BDA . ვთქვათ, $\angle BEA=\alpha$ და $\angle BDA=\beta$. მაშასადამე, $\triangle BDE$ -ში ვიცით: $\angle BED=\alpha$, $\angle DBE=\beta-\alpha$ და $DE=a$. შევიძლია გამოვიანგარიშოთ BD . $\triangle BDE$ -დან:



ნახ. 5


$$\frac{BD}{\sin \alpha} = \frac{a}{\sin(\beta - \alpha)} ; BD = \frac{a \sin \alpha}{\sin(\beta - \alpha)}$$

$\triangle ABD$ -დან: $AB = BD \cdot \sin \beta$; $AB = \frac{a \sin \alpha \sin \beta}{\sin(\beta - \alpha)}$; მაშასადამე,

$$BC = \frac{a \sin \alpha \sin \beta}{\sin(\beta - \alpha)} + h.$$

ამოცანა № 16

მდინარის იმ ნაპირზე, სადაც ჩვენ ვართ, გავზომოთ ბაზისი AC . (ნახ. 6) ვთქვათ $AC=6$ მ შემდეგ ასტროლიაბის საშუალებით გავავლოთ AB პერპენდი-



ნახ. 6

კულარი და გავზომოთ კუთხე BCA . ვთქვათ $\angle BCA=42^\circ$; მაშინ ABC მართ-კუთხა სამკუთხედიდან:

$$AB = 6 \cdot \operatorname{tg} 42^\circ; \operatorname{tg} 42^\circ = 0,9 \text{ მაშასადამე,}$$

$$AB = 6 \cdot 0,9 = 5,4 \text{ მ.}$$




მოცემული გეგმის ორი მიუხედი მიწვეული წერტილი A და B (ნახ. 7).

უნდა გავიგოთ მანძილი AB .

AB მანძილის გასაზომად, გავზომოთ ბაზისი CD , ვთქვათ $CD = a$. ასტროლიაბის საშუალებებით გავზომოთ აგრეთვე კუთხეები:

$$\angle ACD = \alpha, \angle BDC = \alpha_1, \angle BCD = \beta \text{ და } \angle ADC = \beta_1.$$



ნახ. 7

$\triangle ACD$ -დან:

$$\frac{AD}{\sin \alpha} = \frac{a}{\sin (\alpha + \beta_1)}; AD = \frac{a \sin \alpha}{\sin (\alpha + \beta_1)}.$$

$\triangle BCD$ -დან:

$$\frac{BD}{\sin \alpha_1} = \frac{a}{\sin (\alpha_1 + \beta)}; BD = \frac{a \cdot \sin \alpha_1}{\sin (\alpha_1 + \beta)}.$$

$\triangle ABD$ -ში უკვე ვიცით AD , BD და $\angle ADB$. AB -ს გამოვიანგარიშებთ კოსინუსის თეორემით.

ამოცანა № 18


AB მანძილის გასაგებად, გავზომოთ ბაზისი AC (ნახ. 8). ვთქვათ $AC = 100$ მ. ასტროლიაბის საშუალებით გავზომოთ აგრეთვე კუთხეები:

$$\angle BAC = 74^{\circ} 8', \angle BCA = 105^{\circ} 2'.$$

ვისარგებლოთ სინუსების თეორემით:

$$\frac{AC}{\sin B} = \frac{AB}{\sin C}; AB = \frac{AC \cdot \sin C}{\sin B};$$

$$AB = \frac{100 \cdot \sin 105^{\circ} 2'}{\sin 50'}.$$



ნახ. 8

$$\lg AB = \lg 100 + \lg \sin 105^{\circ} 2' - \lg \sin 50'$$

$$\lg 100 = 2.0000$$


$$\lg \sin 105^{\circ} 2' = 1.9850$$

$$\text{და } \lg \sin 50' = 1.8373$$

$$\lg AB = 3.8223; AB = 6632 \text{ მ};$$

$$AB = 6,632 \text{ კმ},$$

მოც., $\angle ABD = \beta = 34^{\circ}40'$ (ნახ. 9). $\angle AMC = \angle CMN = \alpha = 35^{\circ}5'$



$$CD = h = 10 \text{ მ}$$

$$\text{ტ. გ.: } AC = ? \quad AB = ?$$

$$\Delta AMC\text{-დან: } AC = AM \cdot \sin \alpha; \quad AM = ?$$

$$\text{ჯერ ვიპოვოთ } BM. \quad ZBM = \frac{h}{\sin \alpha}$$

$$\Delta AMB\text{-დან}$$

$$\frac{AM}{\sin(\alpha + \beta)} = \frac{BM}{\sin(\alpha - \beta)}$$

$$AM = \frac{BM \cdot \sin(\alpha + \beta)}{\sin(\alpha - \beta)} =$$

$$= \frac{h \sin(\alpha + \beta)}{\sin \alpha \sin(\alpha - \beta)}$$

$$\text{მაშასადამე, } AC =$$

$$= \frac{h \sin(\alpha + \beta)}{\sin \alpha \sin(\alpha - \beta)} \cdot \sin \alpha;$$


$$AC = \frac{h \sin(\alpha + \beta)}{\sin(\alpha - \beta)}$$

$$\Delta ABD\text{-დან: } AB = \frac{AC - DC}{\sin \beta}$$

ამის შემდეგ h -ს, α -ს და β -ს ნაცვლად შევიტანთ მათ მნიშვნელობებს და ლოგარითმების საშუალებით გამოვიანგარიშებთ AC -ს და AB -ს.

ამოცანა № 20

ვთქვათ, $\angle BAC = \alpha$, $\angle B_1AC_1 = \beta$. (ნახ. 10). B წერტილი იმ შემთხვევაში გამოჩნდება, როდესაც $\alpha > \beta$.



ნახ. 10

ΔABC -ში:

$$\sin \alpha = \frac{30}{600} = \frac{1}{20};$$

ΔAB_1C_1 -ში:


$$\sin \beta = \frac{15}{270} = \frac{1}{18}; \text{ მაშასადამე}$$

$\sin \alpha < \sin \beta$, ე. ი.

$\beta > \alpha$, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წერტილი B არ გამოჩნდება.

ამოცანა № 21.

ესკარპი წარმოადგენს სამწახნაგა პრიზმს (ნახ. 11), რომლის მოცულობაც $V = QH$. ჩვენს შემთხვევაში



ნახ. 11

$$Q = \frac{4 \cdot 1,25}{2} = 2,5 \text{ მ}^2, \text{ ხოლო}$$

$$H = 240 \text{ მ მაშ,}$$

$$V = 2,5 \cdot 240 = 600 \text{ მ}^3.$$

საათში მებრძოლი კრის $1,5 \text{ მ}^3$, 5 საათში მოკრის $1,5 \text{ მ}^3 \cdot 5 = 7,5 \text{ მ}^3$. 600 მ^3 -ის მოკრას კი დაჭირდება $600 : 7,5 = 80$ მებრძოლი.


ამოცანა № 22.

თოვლის ყრილი წარმოადგენს ოთხწახნაგა პრიზმს (ნახ. 12), რომლის მოცულობაც $V = QH$. ამ შემთხვევაში

$$Q = \frac{(5+3) \cdot 1,1}{2} = 4,4 \text{ მ}^2, \text{ ხოლო } H = 440 \text{ მ.}$$

$$\text{მაშ, } V = 4,4 \cdot 440 = 1936 \text{ მ}^3, \text{ ხოლო } 2V = 3872 \text{ მ}^3.$$

05-3P



ნახ. 12.

ერთი მეტრძოლი ტკეპნის საათში 1,76 მ³ თოვლს, 400 მეტრძოლი კი დატკეპნის 1,76 · 400 = 704 მ³. მთელ სამუშაოს 400 მეტრძოლი შეასრულებს 3872 : 704 = 5,5, ე. ი. 5 საათ. 30 მინ.

ზემოდ მოყვანილი ამოცანები № 12, 13, 14, 15 და 16 აუცილებლად უნდა ამოიხსნას ველად გასვლის შემთხვევაში.

გარდა ამ ამოცანებისა გეომეტრიულსა და ტრიგონომეტრიულ ამოცანათა კრებულებში საკმაოდ მოგვეპოვება სამხედრო ხასიათის ამოცანები, ასეთია მაგალითად, ამოცანები მართკუთხა სამკუთხედების ამოხსნაზე № 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 18, 22, 26, 32 და სხვ

ირიბკუთხა სამკუთხედების ამოხსნაზე № 2, 3, 4, 5, 8, 21, 26, 30 და სხვ. ამ ამოცანების ამოხსნას მასწავლებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეციდოს.

ამათ გარდა, სამხედრო შინაარსის ამოცანების შედგენისას მასწავლებელს შეუძლია ციფრობრივი მასალით ისარგებლოს წითელი არმიისადმი მიძღვნილი წიგნიდან და ბროშურებიდან.

შედგენილია საქ. სსრ განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამმართველოს ინსპექტორ-მეთოდისტის შ. იაშვილის მიერ.

42-70

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლელი
და
სამხრეთ-აღმოსავლელი
და
სამხრეთ-დასავლელი
საზღვაო
საგარეო
აღმოსავლელი
და
სამხრეთ-აღმოსავლელი
და
სამხრეთ-დასავლელი
საზღვაო

14

1P



პ/მგ. რედაქტორი ბ. კიხირია

ხელმოწერილია დასაბეჭდად—1942 წ. 28/IV.
ზომა 6X10. ტირაჟი 2000.
შეკვეთის № 860 უე7059
სტამბა ადგილ. მრეწვ. სახ. კომისარიატისა,
ფურცელაძის ქ. № 5.

Сборник приказов и распоряжений (на
грузинском языке) НКПроза ГССР № 4.
6-й год издания